ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1410514

ნომერი: AR1235166

თარიღი : 23.07.2014

გაცემის თარიღი : 29.07.2014

გაცნობის თარიღი : 29.07.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 36ა-39ა , ნაკვ.40/302 / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

2014 წლის 07 ივლისს ქ. თბილისის მერიის სსიპ _თბილისის არქიტექტურის სამსახურს #AR1235166 განცხადებით მომართა მოქალაქე დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა სამსახურის მიერ მომზადებულ #1119 (2011.08.01) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება. ვინაიდან, იგივე განაცხადზე მოქალაქემ გამოაგზავნა შეტყობინება, სადაც ითხოვს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას, სამსახურმასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქე დავით ლოსაბერიძის #AR1235166 განცხადების განუხილველად დატოვებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად დარჩეს მოქალაქე დავით ლოსაბერიძის #AR1235166 (07.07.2014) განცხადება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიერ მომზადებულ #1119 (2011.08.01) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.